# იმერეთი

№ 4

წელიწადი მესამე.

მისამართი: ქუთაისი, რედაქცია გაზ. „იმერეთი“

შაბათი 10 იანვარი 1915 წ.

**ფასი:** წლიურათ 7 მ., ნახევარი წლით 4 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 14 მან., ნახევარი წლით 7 მან., თვიურათ 6 აბაზი.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.



## დაიწყო ხელის მოწერა 1915 წლისათვის

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ

# „იმერეთ“-ზე

გაზეთი გამოდის ყოველდღე გარდა კვირა-უქმეების შემდეგ დღეებისა.

გაზეთი ღირს:

1 წლით 7 მან., 6 თვით 4 მან., 3 თვით 2 მ. 10 შ. 1 თვით 4 აბაზი. ცალკე ნუმერი 1 შაური. საზღვარგარეთ ორჯერ მეტი.

მისამართი: ქუთაისი, თფილისის ქუჩა სახლი გოკიელისა. ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით Кутаисъ, Редакція „ИМЕРЕТИ“.

რედაქციის კანტორაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება დილის 12—2 საათ., საღამოს 6—8 საათამდი. წვრილმან წერილების გამო, რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არ კისრულობს. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. მოწვეული არიან ახალი თანამშრომლები.



## ქ. ქუთაისი

მოსკოვის უდიდესი ფირმა

ამხანაგობა

# „ნ. უდალოვი და ი. ვავილოვი“

პატივისცემით აუწყებს ბ.ბ. მყიდველებს და კლიენტებს, რომ მან სრულ საკუთრებათ შეიძინა მანუფაქტურის საქონლის საწყობი და წვრილი სავაჭრო მაღაზია პაებზე დამყარებული ამხანაგობის

„ს. მ. კირაკოზოვი და ბ. გ. ოგანოვი“-ს,

რომელიც მდებარეობს ქუთაისში, გიმნაზიის ქუჩაზე, ქალაქის ბაღის პირდაპირ.

როგორც წარმომადგენელს **პროხოროვის ტრიოხგორნი სამანუფაქტურო ამხანაგობისა** ამხანაგობა „ნ. უდალოვს და ი. ვავილოვ“-ს

აქვს დიდი საფაბრიკო საწყობები სამანუფაქტურო საქონლის **მოსკოვში და როსტოვში**, რის გამოც მას შეძლება ეძლევა ქუთაისის განყოფილებისათვის მუდმივათ იქონიოს დიდძალი ასარჩევი საუკეთესო სამანუფაქტურო საქონელი სხვა-და-სხვა ცნობილი ფირმების.

## სტუდენტი,

**უმაღლესი დასაწყისი სასწავლებლის მასწავლებელი**—ამზადებს მოწაფეებს საშუალო სასწავლებლების ყველა კლასებისთვის. აგრეთვე უმაღლესი დასაწყისი და ორკლასიან სასწავლებლების მასწავლებლად, „ჩინზე“ და აფთიაქის მოწაფეთ. შეიძლება მოწაფესთან სახლში სიარული, მისამართი: **ძველი თფილისის ქუჩა. ჟორჟოლაძის სახლი.**

6—1.

## სამკურნალო

**კაბინეტი ელექტრონისა და სინათლის**

**ექიმის გაბრიელ იოსების ძის გოკიელის** შინაგანი ნერვებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავათმყოფის მიღება დილის 9—12 საათ. სალ. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქუჩა, საკუთარი სახლი. (თ).

**დოქტორი** მედიცინისა, პრივატ-დოცენტი ხარკოვის უნივერსიტეტის, **ვარლამ პ—ძე მოსეშვილი** 7 დეკემბრიდან ავათმყოფების მიღებას დაიწყებს (შინაგანი და ნერვებით სნეულებიანი) დილის 8—3 საათამდი, **გოსპიტლის ქუჩა, ბართლომე მოსეშვილის სახლში № 6.**

**ექიმი ი. ჩარექოვი** ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე დილით 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახლში.

**ექიმი დავით ნ. ლორთქიფანიძე** იღებს შინაგან და ბავშთა სნეულებით ავათმყოფებს თავის ბინაზედ დილით 8—11 საათამდის, საღამოს 7—8 საათ თფილისის ქუჩა სახლი ნ. ჩიქვაიძის.



მღვდ. იოანე ლევანის ძე საყვარელიძე, შვილები მისი მღვდ. ბარნაბა აზნ. ვლადიმერ, ალექსანდრე იოანეს ძენი საყვარელიძენი გულითადის მწუხარებით გაუწყებენ უეცრათ გარდაცვალებას პირველი საყვარელი შვილისა ხოლო დანარჩენნი უძვირფასესის და საყვარლის ძმისა

**მიხეილ იოანეს ძის საყვარელიძისას,**

რისთვისაც უმორჩილესათ გთხოვენ ინებოთ მობრძანება სოფ. ჯოყოეთში მათ საკუთარ სახლში ამა იანვრის თერთმეტს დღით კვირას და დაესწროთ მიცვალებულის დაკრძალვის დროს ჩვეულებისამებრ. დეპეშებისა და წერილების გამოგზავნა შეიძლება სადგურ სალიეთში.



## პრინცესა მიურატი

ამით აცხადებს, რომ ქალაქ ქუთაისში მისი ღვინოები, როგორც „ოჯალეში“, ისე სხვა ჯიშისა არავის არც ჰქონია და არც აქვს გასასყიდათ.


# ევროპის ომი.

**პეტროგრადის დეპეშათა სააგენტოსაგან.**

## უმაღლესი მთავარსარდლის ბრძანება.

**პეტროგრადი.** 8 იანვარი. ოფიციალური. უმაღლესი მთავარსარდლის ბრძანებით, საყოველთაოდ საყურადღებოთ ეცხადება შემდეგი ბრძანება მისი იმპერატორებით უმაღლესობისა 7 იანვრის თარიღით მე 13-ე №-ი.: უკანასკნელ დროს ჩვენი მოწინააღმდეგე მტრები მიმართვენ სხვადასხვა შინაარსის პროკლამაციებით რუსის მეომრებსა და მცხოვრებლებს, რომელნიც სამხედრო მოქმედებათა რაიონებში ცხოვრობენ და მოუწოდებენ მათ ბრძოლის შეწყვეტისა და მშვიდობიანობის დამყარებისათვის. ავსტრიელებმა ამ მხრით თავხედობისა და საზიზღრობის საზღვარს გადააბიჯეს. ავსტრიის ჯარის კაცებისაგან საგანგებოთ დანიშნული პირები ავრცელებენ ჩვენს ჯარში პროკლამაციებს, რომელშიც თავხედი მტრები, ვითომც მირონცხებულ ხელმწიფე იმპერატორის სახელითა და მისის ხელის მოწერით, ბედვენ მოგმართონ თქვენ ძლევამოსილო შვილებო წმიდა რუსეთისა. ყველა ერთგულმა ქვეშევრდომმა იცის, რომ რუსეთში ყველა, უმაღლესი მთავარსარდლიდან დაწყებული თითოეულ ჯარის კაცამდი ემორჩილება მხოლოდ მირონცხებული და თვითმპყრობელის ნებას, ღვთისაგან წარმოგზავნილ ჩვენს საყვარელ და სალმერთებელ ხელმწიფე იმპერატორისას, რომელიც მხოლოდ ერთადერთია ძლევა მოსილი აწარმოოს ომი, ან მოსპოს იგი. ჩვენს მტერს იმედი აღარ აქვს თავისი ძალისა და იარაღისა წარმატების ბრძოლის ველზე და მიმართა საზიზღარ სიყალბეს და მით საზიზღარ ბოროტებას სჩადის. იცოდეთ რუსებო, რომ მხოლოდ სრულმა ზნეობრივმა გახრწნამ და მტკიცე შეგნებამ, აწ პატიოსნურათ განაგრძოს იარაღით ბრძოლა, იძულებული გახადა მტერი, ასეთი საზიზღრობა ჩაედინა. ღრმათ მწამს, რომ ღვთის შეწევნით, ჩვენი ძლევა მოსილი ჯარი თავისი გმირობით შესაფერ პასუხს გასცემს ულირს მტერს მომავალ ბრძოლებში. ვბრძანებ: ყველა ის პირი, ვინც ასეთი პროკლამაციებით დატყვევებული იქნება, გადასცენ სამხედრო საველე სასამართლოს გასასამართლებლათ სამხედრო კანონების მიხედვით.

გენერალ-ადიუტანტი **ნიკოლოზი.**

თავისი მხრით უმაღლესი მთავარსარდლის შტაბი იტყობინება, რომ ავსტრიის ერთერთმა ჯარის კაცთაგანმა, რომელსაც

მანდომილი ქონდა პროკლამაციების გადმოყრა, რომ ამ საზიზღარი მოქმედების ორგანიზატორებათ არიან ავსტრიის გენერალური შტაბის კაპიტანი **გიუნტერი** და როტმისტრი **პოლთო**.

## აღმოსავლეთ პრუს. ფრონტზე.

**პეტროგრადი**. 8 იანვარი. ოფიციალური. უმაღლესი მთავარსარდლის შტაბისაგან. აღმოსავლეთ პრუსიის რაიონში მდგომარეობა უცვლელია. მლავას გზით მტერთან შეტაკებები ხდება. გერმანელების ცდა ჩვენს ბანაკში შემოჭრის შესახებ უშედეგოთ დარჩა მათთვის. ბრძოლით ავიღეთ დაბა სკემპე, რომელიც მტერმა საჩქაროთ დასტოვა. ბზურისა და რავკის თითქმის მთელ ფრონტზე არტილერია მოქმედებდა.

ჩვენმა არტილერიამ თავისი მარჯვე სროლით მტრის ბატარეია ჩააჩუმა. ამ ფრონტზე მტრის რამდენიმე კერძო იერიში ჩვენმა ჯარმა წარმატებით მოიგერია. მდ. პილიცის სამხრეთით და გალიციაში ბრძოლა არ მომხდარა, მხოლოდ ადგილ-ადგილ არტილერიის სროლა სწარმოებდა. ზუკოვინაში ბრძოლით დავიჭირეთ ვოროხტა. კირლიბაბას რაიონში მტერი შეეცადა იერიშზე გადასვლას, მაგრამ ჩვენ უკუვაგდეთ და ამასთანავე ტყვეთ ჩავიგდეთ ხელში ერთერთი ბატალიონის კამანდირი, აფიცრები და 150-ზე მეტი ჯარისკაცი.

## ცეპელინების თავდასხმის შესახებ.

**ლონდონი**. 8 იანვარი. რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ ინგლისის აღმოსავლეთ სანაპიროებზე ცეპელინების თავდასხმა, სამხედრო მოქმედებათა თვალსაზრისით და ინგლისელებზე ზნეობრივი გავლენის მოხდენის მხრით, სრულიად უნაყოფო შედეგათ უნდა მივიჩნიოთ. დაცემის ერთადერთ შედეგათ ოთხი უდანაშაულო კაცის სიკვდილი და ქალაქ იარმუტისა და კინიელის დაზარალება იყო, რომელიც რამდენიმე ათას გირვანქა სტერლინგს უდრის. საეჭვოა, ამ თავდასხმას რაიმე ღირებულობა ქონდეს. თუ მხედველობაში მივიღებთ ინგლისელებისა და ამერიკელების აღელვებას, რომელიც ამ მოქმედებამ გამოიწვია, მოსასწავებელია იმის, რომ გერმანელები კვლავ განაგრძობენ თავის წინანდელ ტაქტიკას, როცა გაუმაგრებელ ქალაქებსა და სოფლებს თავს ესხმიან. ეს პოლიტიკა არ შეესაბამება იმ პოლიტიკას, რომელსაც ინგლისელები აწარმოებენ: ინგლისელების მფრინავები არაოდეს არ იკისრებენ ჩამოყარონ ყუმბარები დაუფარავ ქალაქებსა და სოფლებში, მიუხედავათ გერმანელების გამომწვევი მოქმედებისა, მიუხედავათ იმისა, რომ იგინი თავის მოქმედებით ყველას ჰუმანიურ პოლიტიკას არღვევენ, და რომ გერმანიის ბევრი ქალაქი ისეთ ადგილებში არიან, სადაც ჩვენს მფრინავებს შეუძლიათ თავისუფლათ მისვლა.

### დაწვრილებითი ცნობა.

7 იანვარი. გამოირკვა, ჰაერში ბრძოლა გერმანელების სამი ცეპელინისაგან იყო მომხდარი. ცეპელინები შენიშნული იყვნენ შუა დღისას ფრალანდიის კუნძულების თავზე. დაახლოვებით საღამოს 9 ნახევარზე ცეპელინებმა 5 თუ 6 ყუმბარა ესროლეს ქ. იარმუტს. პირველი ყუმბარა კერძო ბაღში ჩამოვარდა, უშედეგოთ. მეორე აფეთქდა წმ. პეტრეს ეკლესიის მახლობლათ და მთელი რიგი სახლებისა დააზიანა. ერთი ყუმბარა საყარაულო პოსტთან დაეცა, უშედეგოთ. ყარაულებმა სროლა აუტეხეს. მსხვერპლთა რაოდენობა ჯერ გამორკვეული არ არის. იტყობინებიან, დაიღუპენ ქალი, კაცი და ყმაწვილი.

დაჭრილია ჯარისკაცი 9 საათზე ცეპელინები შერინგების თავზე გამოჩნდენ, იარმუტზე 30 მილის დაშორებით. ჩამოაგდეს აქ 5 ყუმბარა, რომელმაც მხოლოდ ნივთიერი ზარალი მიაყენა ქალაქს. მსხვერპლის შესახებ ცნობები არ არის. ამავე დროს მეორე ცეპელინი სამი სოფლის თავზე გამოჩნდა, რომელნიც სამეფო მამულის ახლოს მდებარეობენ სერინკემთან, აქ სხვადასხვა ადგილას ცეპელინმა ყუმბარები ჩამოყარა, რომელიც უმსხვერპლოთ არ ყოფილა, როგორც ჩანს; საღამოს ათ საათზე ცეპელინი ქ. კინგელინის თავზე გამოჩნდა, აქაც რამდენიმე ყუმბარა ისროლა, რომლითაც მოკვდა ორი, დაზიანდა რამდენიმე სახლი. ამსტერდამიდან მოსული დეპეშის ცნობით, ფრალანდიის კუნძულების თავზე ღამის ორ საათზე შენიშნული იყვნენ სამი ცეპელინი, რომელნიც მიემგზავრებოდენ ინგლისის აღმოსავლეთ ნაპირებისაკენ თავდასხმის მიზნით. სენდრინგემში, სადაც მეფე რამდენიმე დღე იყო და სადაც ცეპელინებმა ყუმბარები ჩამოყარეს, მეფემ 12 საათით ადრე დასტოვა ქალაქი. იარმუტის ზარალი რამდენიმე ათას გირვანქას უდრის. მარტო ფანჯრების შუშები ჩაიმტვრა რამდენიმე ას გირვანქა სტერლინგათ ღირებული. ცეპელინებს თავდასხმას პანიკა არ გამოუწვევია ხალხში.

**სალუნი**. 7 იანვარი. როცა ქალ. სირადან ინგლისისა და საფრანგეთის კუნძულები გაისტუმრეს ოსმალებმა, ხელწერილი დაადებიეს, აცნობონ თავის მთავრობებს, რომ, ოსმალეთის სანაპიროებს მათმა ფლოტმა ყუმბარები დაუშინა და რამდენიმე მუსულმანი მოკვდა, თითოეულ მუსულმანში ინგლისისა და საფრანგეთის სამი ქვეშევრდომი მოკვდებათ.

### რუსების და ავსტრიელების ბრძოლა.

**ბუქარესტი**. 8 იანვარი. ფოლტიჩენიდან იტყობინებიან, რომ 4 იანვარს ბრძოლა მთელ ავსტრიელების ფრონტზე გაგძელდა. გალიჩინიდან და რუჟკიდან ავსტრიელებმა უკან დაიწიეს სუნატორისა და ოზერისკენ. ელოდებიან მაშველ ჯარს. საშველათ მოსული 41-ე ქვეითა პოლკის ბატალიონი, რომელსაც წინა ბრძოლებში ბევრი გამოაკლდა, დიდი ვაი ვაგლახით შეივსო. მარცხენა ფრთასა და ცენტრში ზიოკონეშტსა და იაკობენს შუა, ავსტრიელები განაგრძობენ ზოგიერთი პოზიციის შენარჩუნებას. რუსის ჯარმა შესძლო დაბა ზიოკონეშტის აღება, რომელსაც დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს.

### საფრანგეთში

**პარიზი**. 8 იანვარი. ოფიციალური ცნობა. 7 იანვარი. გუშინ საღამოთი მტერმა შესძლო ჩვენი ერთი თხრილის დაკავება, მაგრამ დილით გერმანელები განდევნილი იქნენ. ჩვენ ხელში ჩავიგდეთ რამდენიმე ასი ტყვე. 6—7 იანვრის ღამის განმავლობაში ალბერის რაიონში გერმანელებმა იერიში მოიტანეს, მაგრამ უკუვაგდეთ. ასევე უნაყოფო ჩაიარა მტრის შემდეგ ზედიზედ მოტანილმა იერიშმა, რომელიც მომართული იყო ლაფუაზელისკენ. არგონის სიმაღლეებზე გირმ ნელენისაგან მოტანილი იერიში ფონტერომარლის წინააღმდეგ, ხელჩართულ ბრძოლის შემდეგ, მოგერებულ იქნა.

## შინაური საქმეები.

გაზეთის მნიშვნელობა დიდია, როგორც მშვიდობიანობისა, ისე ომიანობის დროს, როდესაც ბეჭდვითი სიტყვა შობს სულიერ კავშირს, ეროვნულ ერთობას, ერთსულოვან ორგანიზმს, ე. ი. მჭიდრო აერთებს ერთი მიზნისათვის ხალხის სხვადასხვა ნაწილს.

ამიტომ საკვირველი არ არის, პრესა რომ ომიანობის დროს უმთავრესად ომის ამბებს უთმობს ადგილს.

მაგრამ იმავე დროს გაზეთი, რომელიც შინაურ ცხოვრებაზე ყურს იყრუებს,— ღალატობს თავის პირდაპირ დანიშნულებას. მართალია, ომიანობის დროს ძლიერ ფერხდება სამოქალაქო, ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრება, მაგრამ კი არა კვდება! და, ვინც ბრძოლის ველზე არა ვართ, გულის აცრუება კი არა, პირიქით, მომეტებული მხნეობა გვმართებს შინაგანი, სამოქალაქო მოღვაწეობის მოედანზე, რომ სამდურავი არ დავიმსახუროთ ჩვენი ძმებისა და შვილების წინაშე, რომელნიც გარედ იბრძვიან, მათი ოჯახების გატიალების გამო. დაუდევრობა შინაურს, ეკონომიურსა და მოქალაქობრივ ცხოვრებაში ისეთსავე ცოდვად ჩაგვეთვლება, როგორც სილაჩრე მეომრებს ბრძოლის ველზე.

სხვათა შორის, ჩვენი გაზეთიც იმას ისახავს თავის ერთ-ერთ მიზნად, რომ საზოგადო ცხოვრების ქირვარამს ანგარიში გაუწიოს, ე. ი. ყოველსავე ავს ხელი შეუშალოს, თითოეულ სასიკეთო თაოსნობას გზა გაუკვლიოს.

სხვათა შორის, ერთი საჭირბოროტო საკითხთაგანია წერა-კითხვის საზოგადოების შკოლების გადაკეთების საქმე. წერა-კითხვის საზოგადოება—კერძო დაწესებულებაა და მას აქვს, ახალი კანონის ძალით (კანონი 1914 წ., 1 ივლისის) უფლება დაარსოს ისეთი შკოლები, რომლებშიაც—რუსულ ენისა და რუსულ გეოგრაფიისა და ისტორიის გარდა—ყველა საგნის სწავლება დედა-ენაზე იქნება.

ამისთვის კანონით დიდი წვალებაც არ არის საჭირო: საკმაოა საზოგადოებამ მხოლოდ აცნობოს სათანადო მთავრობას თავისი განზრახვა.

რუსული ენა რომ ჩვენი ხალხისთვის საჭიროა,—უეჭველია. მაგრამ ძველი მეთოდით აღზრდილმა მოსწავლემ არც რუსული იცის და აღარც ქართული და ამასთანავე ერთობ განუვითარებელია.

ამ საწუხარო მოვლენის მიზეზი ყველასათვის ცხადია. რუსულს იმით კი ვერ ისწავლის ბავშვი, რუსული სიტყვები და ტექსტები რომ თუთიყუშივით გაიზეპიროს. პირიქით, უცხო ენის სწავლას საზოგადო განვითარება უნდა უძღოდეს წინ, რადგათ განვითარებული მოსწავლე ენას შეგნებულად სწავლობს.

ამიტომ მოსწავლე, რომელიც მალე და კარგად განვითარდება დედა-ენაზე, სხვათა შორის, რუსულსაც უკეთ ისწავლის.

კიდევ ვიტყვი: ჩვენ ამას კი არა ვცდილობთ, ახალთაობას რუსული არ ვასწავლოთ, არამედ იმას, რომ მან ქართულიც კარგად იცოდეს და რუსულიც. ამისთვის კი, როგორცა ვთქვით საჭიროა საზოგადო განვითარება, რომელსაც, უეჭველია, საფუძვლად დედა-ენაზე სწავლება უნდა ედვას.

და სწორედ ამ სალს პედაგოგიურ მოთხოვნილებას აკმაყოფილებს ხსენებული კანონიც.

ერთი რამეც კიდევ საყურადღებოა: სახალხო შკოლებში მეურნეობისა (სოფელში) და ხელოსნობის (ქალაქში) სწავლებას შესაფერი ადგილი უნდა ეჭიროს. ამიტომ მასწავლებელთა შორის უპირატესობა მათ უნდა ჰქონდეთ დათმობილი, რომელთაც პედაგოგიურ მომზადებასთან ერთად სამეურნეო და სახელოსნო ცოდნაც მოეპოვებათ.

მხოლოდ ამგვარი შკოლები აღზრდიან განვითარებულს, შეგნებულ თაობათ.

მხოლოდ ამ გზით მოეღება ბოლო ხალ
ხის გონებრივსა, ზნეობრივსა და ეკონო
მიურ ჩამორჩენას და ჩვენი ერიც განა
თლებულ ერთა შორის დაიჭერს ადგილს.
ამიტომ, წერა-კითხვის საზოგადოებ
მოვალეა თავისი უფლება კეთილად მოი
ხმაროს და თავისი შკოლები ახალ კა
ნონს შეუთანხმოს.

**ვასილ წერეთელი.**

## ახალი ამბავი

**მგოსანი აკაკი**. ეს სამი დღეა მგო
ნი აკაკის შესახებ საჩხერიდან არავითარ
ცნობა არ მიგვიღია.

✦ მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღო
მა თავად გ. ი. ერისთავმა ქართველი დრ
ჟინის უფროსის პოლკოვნიკ ნიჟარაძის
გან შემდეგი დეპეში მიიღო:

„თქვენ ბ.ბ. დეპუტატებსა და ქუთა
სის თავად-აზნაურობას ქართველი დრ
ჟინა ჩემის პირით და მეც გულითად მა
ლობას გიძღვნით. წმ. გიორგის ხატ
დალოცვისათვის და ჩვენი გამარჯვებ
სურვილისთვის. გიძღვნით გულითად სა
ლამს. პატივისცემით დრუჟინის უფრო
პოლკოვნიკი თავადი **ნიჟარაძე**.

✦ აზოვო-დონის კომერციულ ბანკშ
ამჟამათ უმაღლეს მთავრობის ნებართვი
იყიდება მომგებიანი საქველმოქმ. მიზნ
ბილეთები. ბილეთების წმინდა შემოსავალ
გადაიდება ომის სხვადასხვა საჭიროებ
სათვის.

8 იანვარს, საღამოს 9 საათზე, ქალა
ქის თვითმართველობის დარბაზში შესდგ
ქალაქის საბჭოს სამეურნეო კომისიი
შეერთებული კრება, ქალაქის მოურავ
ი. მ. ჩიქოვანის თავმჯდომარეობით.

კრებამ კამათი იქონია, მოაწყონ საქ
ისე, რომ ქუთაისი სანოვაგის მხრით უ
რუნველყოფილი იყოს.

სანოვაგეზე შემდეგი დროებითი ფას
დაადგინეს: როსტოვის პურის ფქვილ
№ 4—11 მან. ეკატერინოდარისაზე
10 მ. და 15 შაური. № 5 როსტ. 10
და 15 შ. ეკატერ. 10 მ. და 10 შაური
№ 6 როსტ. 10 მ. 10 შ. და 5 შაური
ეკატ 10 მ. № 7 როსტ. 9 მ. და 19
ეკატ. 9 მ., № 8 როსტ. 8 მ. და 5
ეკატ. 8 მან.

ფუთ შაქარზე დაადგინეს 7 მან. და
აბაზი, გირვანქაზე კი $19\frac{1}{2}$ კაპ. კრებ
დაადგინა ქუთაისში შემოტანილი ფქვ
ლი პროვინციებში არ გაყიდონ.

✦ ხუთშაბათს, ქართულმა დასმა ვა
მეხიშვილის საბენეფისოდ წარმოადგი
ალ. დიუმას პიესა: „ედმონდ კინი". უმ
თავრეს როლს თვით მობენეფისე თამა
შობდა. თეატრი ხალხით გაჭედილი იყო
მრავალი უბილეთობის გამო გულდაწყვე
ტილი შინ დაბრუნდა. მობენეფისეს სა

---

# ქართლის ვითარება.

### ახლო წარსულიდან.

(მოკლე მიმოხილვა).

### II. 1905—911 წლები

შემდეგი იხ. „იმერეთი" № 3.

[illegible] ღალების ამკრეფი კომისიის საქმეები. რაც დრო გადიოდა, მით უფრო დაეტყო მათ მიერ გადაწყვეტილი საქმეების უვიცობა და უსამართლობა. კომისიამ მთელი ქართლის საქმეები ზეზეურად გაარჩია და, არც გასაკვირველია, რომ ეს უვიცობა და უსამართლობა მოჰყვა. ბევრს საქმეებში კომისიამ თითქმის ძალმომრეობაც კი იხმარა, როდესაც მემამულე თხოვნას აძლევდა კომისიას, კომისია ბევრჯელ არც კი გაარჩევდა ხოლმე და თხოვნაზე ზეპირად აწერდა „взыскать".

ამ სიტყვას კომისიის წევრნი შეჩვეულნი იყვნენ, ამის დაწერა უფრო ეხერხებოდათ და სიამოვნებითაც აწერდნენ რა მოჰყვებოდა, ამ სიტყვას არ დაგიდევდნენ.

ქერნახულზე ფასების მხრივ ცხინვალს საბოქაულოში კომისია სწყვეტდა სხვა ფასებს, სურამისაში კიდევ სხვას—. აგრეთვე ერთ და იგივე ხიზანზეო კომისიამ გადასწყვიტა სურამის საბოქაულოში ღალის გადასახადი და ამავე კომისიამ, როდესაც ცხინვალის საბოქაულოში საქმეებს არჩევდა, ამავე ხიზანს იმავე მამულზე მეორე განაჩენი შეუდგინა.

ერთმა მემამულემ თავის ხიზანს არაფერი გადაახდევინა, სხვა მემამულემ კომისიასთან თხოვნა შეიტანა, რომ ამ ხიზანს ჩემი ამდენი და ამდენი მართებსო, კომისიამაც გაურჩევლად თხოვნაზე წააწერა: „взыскать".

ერთ კომლს ხიზანს მემამულეს ჩვენებით კომისიამ ორჯელ შეუდგინა განაჩენი, ერთი ერთ ძმასო და ერთიც— მეორესო,- ერთ და იგივე მამულზე.

ერთმა მემამულე ქალმა თავის ხიზნებს [illegible] და მიღების ბარათები დაურიგა, მეორე მემამულემ, მისმა ნათესავმა, ისარგებლა დროთი და კომისიის წყალობით ისინი გაიხადა თავის ხიზნებად და ზედ-მეტი ღალებიც სრულიად გადაახდევინა.

### IV. ბოქაული—მოურავი.

ბოქაული თავის რაზმით და მემამულენი თავიანთი ტომარა ჩანახით დაბინავდნენ ერთ სოფელში, სადაც მოსახლეობს ორმოც კომლამდე დროებით ვალდებული გლეხი და ხიზანი.

თოვს, ლელმა აქვს.

გლეხის სადილობაა. ბოქაულმა ერთ გლეხს დარბაზი და ბოსელი დააცლევინა და ყველანი იქ დაბინავდნენ. გზირი გამოეცხადა ბოქაულს.

— ეხლავე ცხენებს თივა და ქერი მოუკრიფე!—უბრძანებს ბოქაული გზირს, —და სადილიც დაამზადებინე.

იქვე, დარბაზის წინ გლეხებს თავი მოუყარეს და ბოქაული გამოაცხადებს.

— დღესვე თქვენი მებატონეების კვიტანციები წარმოადგინეთ და დაუყონებლივ დააკმაყოფილეთ ყველა თქვენი მებატონე, რაც უფრო ჩქარა მოგიშორებთ, თქვენთვის უფრო შეღავათი იქნება.

— რაღა მეშველება, ასე ჩქარა საიდან უშოვნო?, ჯიბეში ერთი შაჰი არ მიჭყავის, თავის-თავათ წაილაპარაკა ერთმა გლეხმა და გასწია თავის მებატონესკენ, [illegible] ქნება როგორმე შემბრალებინა თავი.

— შენი ჭირიმე, ბატონო, ერთი შემატყობინე, ჩემზე რამდენია, რა უნდა მოგართვათ? შეეკითხება გლეხი.

— შენზე ექვსი კოდი პურია, რვა კოდი სიმინდი და ათი კოდი ქერი, მუშის ფული რვა მანეთი, უკითხავს სიას მემამულე.

— რას მიბრძანებთ, შენი ჭირიმე, მასხარათ მიგდებთ, თუ მართალს მეუბნებით?

— რა დროს ხუმრობაა, შე ოხერო, რაც გითხარი, ეხლავე უნდა ჩამაბარო. — შეუტევს მემამულე.

გლეხი საშინლად შეწუხდება. დაუწყებს მუდარას, ხვეწნას მემამულეს, ეფიცება:—ოთხი დღის მეტი მოხნული არა მქონდა და მეტს ნუ გადამახდევინებო, მაგრამ მემამულეს გული მაინც ვერ მოულბო.

— რავქნა მე, მაგის მოცემა არ შემიძლიან და, რაც გინდა ის მიყავი, წყრომით დაამთავრებს ხიზანი.

— ისე გადაგახდევინებ, რომ ჯანსაც გაგაგდებინებ. აბა, ნუ გადიხდი, მე შენ გიჩვენებ სეირსა. გაგვიძეხი! პირველათ შენს სახლში უნდა შევიდეთ! დაუყვირებს მემამულე თავის გლეხს.

მემამულე ორის ყაზახით შევა გლეხის დარბაზში, დაათვალიერებს იქაურობას, კუნჭულში იპოვნის ერთს გადალესილ გოდორს, კაი დღისათვის გადადებულს, გახსნიან, საიდანაც ოთხი კოდის მეტი არ ამოვა იქავე ცალ გვერდზე ხბოიანი ძროხა აბია, იმასაც აუშვებენ და გარეთ გამოაგდებენ.

ძროხას ბოქაული 25 მანეთში აიყვანს.

— აბა შენზედ კიდევ 21 მანეთი რჩება, ეტყვის ბოქაული და ანგარიში ჩქარა [illegible]

ერთ ღორსაც უპოვნიან, დაიჭერენ ოთხ დედალსა, ექვს ინდოურსაც ზედ დაუმატებენ პატარა კასრ ჯონჯოლსაც—, სუყველა ამას 21 მანეთად აფასებენ.

გლეხი უცქერის თავის ნაჭირნახულევს განიავებას და გული სიბრაზით ევსება.

სადილობამდე თითქმის გლეხმა ყველა ანგარიში გაასწორა.

ტომრებით დატვირთული ურმები გამზადებულია წასაღებად, ერთი ურემიც სავსეა ქათმებით და ინდოურებით.

— ჩემი ქათმები არ შეგეცვალოს, თედო!—ეუბნება ერთი მემამულე მეურმეს,—ჩემ ქათმებს წითელი ნაჭერი შევაბი და ჩვენსა მიიყვანე.

— ჩემი ინდოურები კანაფით არიან გადაბმულები, ეუბნება მეორე, ჩვენსკენ რომ გაივლი, იქ გადაეცი, არ დაგავიწყდეს.

თედოც უაზროდ ყველას თავს უკანტურებს თანხმობის ნიშნათ.

თოვს, ხან წვიმს, ქარი უფრო მძვინვარებს.

გზები გაუვალია, ცხენი მუცლამდის დადის, მგზავრობა გაჭირვებისაა. ძაღლი გარეთ არ გაიგდება.

ბოქაული ურმებს ისტუმრებს, ამ დროს მას წერილი მოსდის ერთ მემამულესაგან, სწერს: „დიდათ პატივცემულო ბესარიონ გრიგოლიჩ! ჩემმა ხიზანმა ღალები ჩამაბარა, მხოლოდ ორი ქათამი და სამი ინდოური არ ჩამოიყვანა, გთხოვთ გადაახდევინოთ და ვისიმე ხელით გამომიგზავნოთ.

Что за мерзость! Что за безобразіе! შეყვირებს ბოქაული, და გაჯავრებული წერილს დახევს.

— მოურავი ხომ არ ვგონივარ, ორი [illegible]

ქათმის გულისათვის სოფელს მეორედ უნდა მიუტრიალდე?!

გულ-მოსული ელაპარაკება იქავე მდგომ
მემამულეებს.

——

### V. გლეხის მდგომარეობა.

მოძრაობის შემდეგ სოფელმა ფერ
იცვალა. როდესაც სოფლის ცხოვრებ
უკვირდება ადამიანი ბევრს ახალს მო
ლენას შეამჩნევს: სოფელი კაცი გლ
ხი, თავადი, აზნაური ყველა სევდას შ
უპყრია.

გლეხისაგან კვლავინდებურად სიმ
რას ველარ გაიგონებს, აღარც დამღ
ნებელი ოროველას ხმა ისმის, მუდამ
ფიქრებულია და გულ ჩათხრობილი.—

კვლავინდებურად თავადიც, აზნაურ
ისე უდარდელად ველარ მხიარულობ
იგინიც მოჰყვენ ამ დროთა ბრუნვაშ
გრძნობენ, რომ რაღაც ცვლილება მო
და, მიხვედრილნი არიან, რომ ძველ
ბურად ცხოვრება აღარ შეიძლება, ყ
მანში არიან და, არ იციან, რა გ
დაადგენ.

ხანდახან ჭაბუკნი სევდის გასაქარვ
ლად დუდუკით დროს ეწევიან; ამ ქე
ის ძველებური შნო და ლაზათი აღ
აქვს და თითქოს არც შეშვენის ამ დრ
სა, ჭაბუკნიც გრძნობენ და ისევ
ცხოვრებას უკვირდებიან.

დაღონებულა გლეხი, რაღაც მძიმე და
დი აწუხებს მას, ფიქრობს, როგორ უშ
ლოს თავს, როგორ დააღწიოს ამ ჯ
ჯოხეთურ ცხოვრებას.

ბევრი იმ აზრისაა მიატოვოს ოჯახ
მშობლები, ნათესავები და მოშორდ
[illegible]

**...Ი „ᲘᲛᲔᲠᲔᲗᲘᲡ“ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ** ადგილობრივ და პროვინციის ხე-...ძომწერლებს დაბეჯითებით სთხოვს დროით აცნობონ გაზეთის და-...ეთა 1915 წლისათვის, რომ რედაქციის კანტორას შეძლება ქონდეს ...ორმალურათ აწარმოოს გაზეთის გაგზავნა. ამასთანავე რედაქცია აცხა-...ებს, რომ ფოშტაში მოსულია რამდენიმე უწყება „ახალ ივერიის“ ...ახელზე, რომელი გაზეთიც გაგძელება იყო „იმერეთისა“, მაგრამ ბოლო დროს იგი გაიტაცამისმა ოფიციალურმა რედაკტორმა და დღეს დახურულია. „ახალ ივერიას“ არავითარი საერთო აღარა აქვს-რა დღევანდელ „იმერეთთან“, ამიტომ ვსთხოვთ ფულის გამომგზავნელებს, თუ ჩვენი გაზეთისათვის არის გამოგზავნილი ის ფული, შეატყობინონ ფოშტას, რომ ჩვენ მივიღოთ.

...ზოგადოება ალტაცებით მიეგება და წარმოდგენის დასასრულ ოვაცია გაუმართა. მობენეფისემ მიიღო რამდენიმე საჩუქარი.

✦ ხვალ, 11 იანვარს, ქუთაისში ჩამოვა თფილისის სამოსამართლო პალატა, რომელიც ქუთაისში საქმეების გასარჩე-...თ ერთ კვირას დარჩება.

✦ ქართველი დრუჟინის გაცილების ...ს რკინის გზის სადგურზე დეპუტატთა ...ებულმა მიართვა მათ წმ. გიორგის ...ტი.

✦ დღეს, დილის 12 საათზე, ქალაქის გამგეობაში მოხდება იჯარით გაცემა ქალაქის მამულისა, რომელიც ძევს გაგარინისა და ბაზრის ქუჩის კუთხეში.

✦ 12 იანვარს, საზოგადო საკრებულოში შესდგება საღამო ღარიბ სტუდენტთა სასარგებლოთ. იმედია, ქუთაისის საზოგადოება საღამოს ბლომათ დაესწრება.

✦ როგორც ს. ლესიდან (ოზურგე...ის მაზრა) გვატყობინებენ, 7 იანვარს ...ონიას დუქანს ექვსი შეიარაღებული ...ცნობი დაეცა. დუქანში ამ დროს ...ყოფებოდენ 15-მდი სოფლელი გლე-... ბოროტგამზრახველებმა ისინი არ ...ინდვეს და ყველანი გაძარცვეს. ლესის ...მასახლისს წაართვეს რევოლვერი, ხან-...ალი და 65 მანეთი ფულათ. პოლი-...ამ უცნობთა წინააღმდეგ ...ზომები მიიღო, მაგრამ ჯერ არავინ ...მოუჩენიათ.

# ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘ.

**თფ. ქართველ ქალთა შორის.** ქარ-...ლ ქალთა საზოგადოებამ გადასწყვი-... წმიდა ნინოს სახელობის ქართულ ...რეიში რამდენიმე საწოლი შეინახოს ...ხარჯით. ამ მოკლე ხანში საზოგა-... შეუდგება ფულის შეკრებას თფი-... მცხოვრებთა შორის. შესაფერი ...ათვა უკვე მიიღო მეფის მოადგი-...ს კანცელარიისაგან. საჭიროა ამ საქმეში საზოგადოებას დაეხმაროს ყველა, ვისაც ამის საშვალება აქვს.

— **ხმოსანმა** პართენ ალექსანდრეს-ძე გოთუამ ბათომიდან დეპეშით აცნობა სრულიად რუსეთის ქალაქთა კავშირის კავკასიის განყოფილების რწმუნებულს ა. ი. ხატისოვს: მშვიდობიანად ჩამოვედით ოთხ ვაგონ ნივთებიანათ, კომენდანტმა ყოველმხრივი დახმარება აღგვითქვა, მადლობას გითვლით ბინოკლისა და ჯარისკაცთა საჩუქრებისათვის. ნივთები ქალაქის გამგეობის ბინაზე გადავიტანეთ დასანაწილებლად. ხვალ პოზიციებისაკენ მივემგზავრებით.

— **ხმოსანი პ. გოთუა**, რომელმაც ჭოროხის მხარეს თბილ ტანისამოსის ტრანსპორტი წაიღო, 7 იანვრის თარიღით დეპეშით შემდეგს აცნობებს ქალაქების კავშირის კავკასიის განყოფილების რწმუნებულს ა. ი. ხატისოვს: „ნივთები წავიღეთ ჯერ ზღვით. შემდეგ ცხენებით მივიტანეთ სულთან-სელიმის პოზიციამდე. დიდად მადლობელნი არიან. დიდი საჭიროებაა ჩექმებისა. ხვალ მივალთ მარანდიდისა და ქედისაკენ.

— **დაჭრილთათვის** მზრუნველ საქალაქო კომიტეტის კრება 9 იანვარს იყო დანიშნული.

— **ახალი ლაზარეთები.** 7 იანვარს თფილისში გაიხსნა ოთხი საქალაქო ლაზარეთი: კავკასიის სააბრეშუმო სადგურის შენობაში, ჩერქეზიშვილის სახელობის საქალაქო სკოლაში, ვაჟთა მეორე გიმნაზიაში და აწ დახურულ „ლონდონ“-ის სასტუმროს შენობაში.

— **კახეთის რკინის გზაზე** სამგზავრო მატარებლების მოძრაობა დაიწყება 14 იანვარს. ამ დღეს, დილის 8 საათსა და 13 წ. (ჩვენებურ დროთი) თფილისიდან გავა მატარებელი მხოლოდ მესამე კლასისა და საბარგო ვაგონებით. მატარებლები ჯერჯერობით ივლიან თელავისკენ მხოლოდ ვაჩნაძიანამდე, ხოლო სიღნაღისკენ კი კარდანახამდე. მატარებლები თფილისიდან გავლენ: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით. უკან დაბრუნდებიან: სამშაბათობით, ხუთშაბათობით, და შაბათობით. მსურველის თფილისის სადგურიდან ნავთლუღამდე ამიერკავკასიის რკინისგზის მატარებლით შეუძლიათ ჩასვლა. ნავთლუღის სადგურიდან ბილეთის ფასი იქნება: ვაზიანამდე—50 კ., ივრამდე—1 მან., საგარეჯომდე—1 მან. 35 კ., ბადიაურამდე—2 მან., მელაანამდე—2 მან. 75 კ., გურჯაანამდე—3 მ. 35 კაპ., ვაჩნაძიანამდე—3 მან. 85 კაპ. და კარდენახამდე—3 მან. 69 კაპ.

## ᲝᲛᲨᲘ ᲓᲐᲭᲠᲘᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲯᲐᲠᲘᲡ-ᲙᲐᲪᲔᲑᲘ.

### ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ.

გიგზავნით მცირე სიას ქართველ დაჭრილ ჯარის-კაცებისას, რომლებიც იმყოფებიან მოსკოვის ლაზარეთში და გაუწყებთ, რომ აქ შედგა ყველა უმაღლეს სასწავლებლების მოსწავლეთაგან კომიტეტი, რომლის უმახლობელესი მიზანია დაჭრილ ქართველ ჯარის-კაცთა ყოველგვარი დახმარების აღმოჩენა.

სია დაჭრილთა:

1) აბდუშელიშვილი ტარასი, ს. ბეინევი, შორაპნ. მაზრა, მარცხენა ხელფეხშია დაჭრილი მძიმეთ.

2) აბრამიშვილი გიორგი გოდერძის ძე, ს. ახალსოფელი, თიან. მაზ. ტფ. გუბ. ფეხები აქვს დამძრალი.

3) აბაშვილი ვლად. გიორგის ძე, ს. საჯია, გორის მაზ. ტფ. გუბ. მსუბუქათაა დაჭრილი.

4) ბესარ. ირაკლის ძე აბულაძე, ს. როკითი, ქუთ. მაზ. ქუთ. გუბ. დაჭრილია მარჯვენა ბაყვში და მარცხენა მუხლში.

5) ბინიაშვილი ელიმელეხ იაკობის ძე, ცხინვალი, გორ. მაზ. ტფ. გუბ. მარცხენა ხელშია დაჭრილი.

6) ბადურაშვილი ივანე ბეს., ს. ჭებოტა, თიანეთ. მაზრა, თფ. გუბ. დაჭრილია მსუბუქად.

7) ბელქანია ვასილი, ზუგდიდიდან, მსუბუქადაა დაჭრილი.

8) ბოჭორიშვილი ბიქტორ ივანეს ძე, ს. მეჭუჭური, შორაპნ. მ. ქ. გუბ. დაჭრილია მარცხენა ფეხში.

9) ბუნტური, კოსტა ანდრიას ძე, ს. ცხავათი, დუშეთ. მაზრა, თფ. გუბ. მსუბუქადაა დაჭრილი.

10) ბეროლიძე მეთოდე გლახუას ძე, ს. სავაო, რაჭიდან, მუხლის ქვევით ძვალი აქვს გატეხილი.

11) ბარბაქაძე დომენტი მიხეილის ძე, ს. ბრელოსანი, გორის მაზრა, ხელშია დაჭრილი.

12) ვალიაშვილი მაქსიმე ფილოს ძე, მსუბუქადაა დაჭრილი.

13) ვერაძე ვლადიმ. ისევ ომში გაუგზავნიათ.

14) ვაჩნაძე პეტრე ბეჟანის ძე, თფილისის გუბ. მსუბუქათაა დაჭრილი.

15) ვაშაკიძე ერასტი თადეოზის ძე, ს. დიდი-ჯიხაიში, ქუთ. მაზ. ქ. გ. დაჭრილია მარჯვენა ფეხში.

16) გობერიშვილი სტეფანე ეგნატეს ძე, ს. წები, რაჭიდან, ავათმყოფია.

17) გიორგაძე მიხეილ პოლიკარპეს ძე, ქუთაისელი, მარჯვენა ფეხში მძიმეთაა დაჭრილი.

18) გოვარდაშვილი იოსებ გიორგის ძე, ს. ჭოჟიო, თფილ. გუბ. მარცხენა ფეხი მოსჭრეს.

19) გიორგაძე ნესტ. ეფრემის ძე, ს. გოდოგანი, ქუთ. მაზრა, მსუბუქადაა დაჭრილი.

20) გასტაშვილი ივანე სოლომონის ძე, ს. რუისი, თფ. გუბ. გორის მაზრა, მსუბუქი ჭრილობები აქვს.

21) გონიაშვილი ზაქ. ბესარიონის ძე, მამკოდა, თფ. გუბ. და მაზ. მსუბუქათაა დაჭრილი.

22) გოგოლაშვილი სოლომონ ს. ანაგა, თფ. გუბ. სიღ. მაზ. მსუბუქი ჭრილობები აქვს ხელში.

23) მაგეთაშვილი არტ. სპ., შორ. მაზ. ქუთ. გუბ. მსუბუქი ჭრილობანი.

24) გოგიჩაიშვილი არჩ. თომას ძე, ს. გომბორი, თფ. გუბ. მსუბუქად.

25) გუბანაშვილი ალექსანდრე, ქუთაისის მაზრა და გუბ. იგზავნება ოსმალეთის საზღვრებზე.

27) გაგუა იასონ ისიდორეს ძე, ს. ნაქალაქევი, ახალსენაკის მ. ქუთ. გუბ. დაჭრილია ფეხში.

27) გვეტაძე სიმონ სპირ. ქუთაისელია, მსუბუქად ფეხში.

28) გორგიშვილი გიორგი დავითის ძე ს. მერეთი, გორის მაზ. თავშია დაჭრილი.

29) ქვაბამია დიმ. თართხუს ძე, ს. ზანი, ზუგდ. მ. მსუბუქად.

30) გელაზანია ბართლ. გიორგის ძე, ს. დიდიჯიხაიში, ქუთ. მ. და გ. მსუბუქათაა დაჭრილი.

31) დარჩიაშვილი ივანე იოსების ძე, ს. ანაგა სიღნ. მ. თფ. გუბ. დაჭრილია მარჯვენა ფეხში—მძიმეთ.

32) დანგაძე პავლე გრ. ქუთაისელი, ფეხში და გვერდში მსუბუქად.

33) ძაძამია ივ. ქრისტ. ომში გაგზავნეს.

34) ჯანაშია ალექსი ანტ. სენაკ. მაზ. ქუთ. გუბ. მსუბუქად დაჭ.

35) დოვლენიძე კონსტ. ერმალოზ. ს. სხვავა, რაჭიდან მსუბუქად დაჭ. ხელში.

36) დურგლიშვილი ბეჟ. იოსების ძე, ს. ახალგორი. დუშეთ. მ. თფ. გუბ. თავშია მსუბუქად დაჭრილი.

37) ჯანელიძე მიხ. ისიდორ. ს. სიმონეთი ქუთ. გუბ. და მაზ. ფეხშია დაჭრილი.

38) ჯავონია ილარიონ კირილეს ძე, ს. ნაჯიხევი, ზუგდ. მ. ქუთ. გუბ. ზურგში მსუბუქად დაჭრილია.

39) ჯუხარიძე ლუკა ..., თელავიდან, ხელში მსუბუქად დაჭ.

40) ძაძამია ანდრია, ახალსენაკიდან მსუბუქად დაჭ.

41) ელიავა გრ. ბესოს ძე, ზუგდიდიდან, ს. კაზათი. მსუბუქათ.

42) ქვანია მაქ. მარკოზის ძე, ს. სერიაჩვენა, სენაკის მაზრა, მარცხენა ფეხშია დაჭრილი.

ამ სიის გაგრძელებასაც მალე მივიღებთ. კომიტეტს შეუძლია ცნობები მისცეს მხოლოდ იმ პირთა შესახებ, რომლებიც ჩვენ სიაში იქნებიან მოყვანილი.

ამ მისამართით გაიგებთ ყველაფერს ზემორე აღნიშნულ სიაში დაჭრილების შესახებ:

Москва, лазаретъ о-ва Грузинъ, Поварская, д. Суходольскаго студ. Владимиру Рамишвили.

—

### ᲒᲝᲠ. ᲚᲐᲖᲐᲠᲔᲗᲔᲑᲨᲘ.

შაბათს, სამ იანვარს, ღამე ჩამოიყვანეს და ლაზარეთებში მოათავსეს ორასამდე დაჭრილი ჯარისკაცი, რომელთაგან 25 ქართველია. ამათში შვიდი დაჭრილია, დანარჩენი ისეა ავათ.

დაჭრილნი არიან:

1) ფირცხალაშვილი ვლადიმერ რომანოზის ძე (ს. ნიგოითი, ოზურგ. მაზრა) დაჭრილია მარცხენა ფეხში და თავში.

2) გიგინეიშვილი კონსტანტინე ამბაკოს ძე (სამტრედია, ქუთ. მაზრა) დაჭრილია მარცხნა ხელში.

3) მარკოზაშვილი იოსებ გიორგის ძე (თელავი) დაჭრილია ხელში.

4) ფეიქრიშვილი ლევან (თფილისი) დაჭრილია ხელში.

5) კაჭარავა ივანე გულიას ძე, დაჭრილია მარცხ. ხელში.

6) დედაბრიშვილი ნიკო სვიმონის ძე, (ს. იყალთო, თელავის მაზ.) დაჭრილია ხელში.

7) დიმიტრაშვილი ზაქარია ალექსის ძე (პატარა თონეთი, თფილ. მაზ.) დაჭ. ორივე ფერდში.

ყველა ესენი მსუბუქად არიან დაჭრილი ოსმალეთის საზღვრებზე.

ავადმყოფნი:

1) ნატფილაძე ალექსანდრე როსტომის ძე, (ქუთაისი) დამძრული აქვს ფეხები.

2) მჟავანაძე ისაკ ალექსანდრეს ძე, (. ვაკე ოზურ. მაზ.)

3) ჩუბინიძე იოსებ ექვთიმეს ძე, (ს. ვაქირი, სიღნაღის მაზ ქარები აქვს.

4) ლომჯანიძე დიონოსი სოლომონის ძე, (ს. ღები, რაჭის მაზ.) ფეხები აქვს დამძრული.

---

...ემალება? ისევ ბოლოს გულში იკლავს, ...ვიქრებული ცხოვრებას უტრიალდება. თავად-აზნაურსაც დაეკარგათ დამშვიდებული ცხოვრება, მათ ცხოვრების მოთხოვნილებანი აწუხებთ. მათაც სხვის შეწუხებით ცხოვრების მოთხოვნილებანი უნდა დააკმაყოფილონ და იბრძვიან ლუკმა პურისთვის.

ჯერჯერობით თავიანთი ხელით მუშაობა, პურის მოყვანა არ შეუძლიანთ.

ცხოვრება უკარნახებს მათ: დროა თქვენის მარჯვენით ცხოვრების მოპოება, ნუ ხართ სხვის შემაყურენი. და ესენიც შიშით შეპყრობილნი, რომ ცხოვრება შეიცვალა, ცდილობენ უზრუნველჰყონ თავიანთი თავი.

გლეხმა შეიგნო, რომ თავის ნამუშევარი მას უნდა დარჩეს, მაგრამ ეხლანდელი ჟამთა ვითარებისა გამო ძალით ართმევენ.

თავად-აზნაურნიც მიხვდნენ, რომ მათ და გლეხს შორის მოისპო მამაპაპური კავშირი, გრძნობენ რომ ძველ დროს ვეღარ დაუბრუნდებიან, ეშურებიან, მამულებს ასაღებენ.

გლეხებსაც უნდათ მათი მამული შეირჩინონ და თავიდან მოიშორონ მათი ბატონობა.

სოფლის ცხოვრებამ ფერი იცვალა, ძველ კალაპოტში აღარ ეტევა, ახალი ცხოვრება, ახალ კალაპოტს თხოულობს!

—

გაუჭირდა გლეხს ცხოვრება, გლეხი კვნესის და ოხრავს: „ამისთანა სიცოცხლეს სიკვდილი გვირჩევნიაო“, ამბობენ გლეხები.

ათასგვარ მოხელეებისაგან გლეხი დაონებულია, მისი პიროვნება შელახულია, მისი ავლადიდება გაძარცულია, მისი ზნე, ჩვეულება შეგინებულია.

გლეხს თითქოს რაღაც მაჯლაჯუნა დასწოლია, ერიდება, რომ მოიშოროს თავიდან და ვერ მოუხერხებია.

გლეხი ყოველ-დილით, როდესაც სამუშაოთ მიდის, ოხვრით ამბობს: „რისთვის უნდა ვიმუშაო, სულერთია ბოლოს მე არ შემანარჩუნებენ ჩემს ნამუშევარსა“, მომავალს უიმედოთ უცქერის, უნდა რომ აწმყოს ჩქარა მოშორდეს.

ჰუჰყიან დაფლეთილ პერანგისა და თხელ სიფრიფანა შარვლის ამარას, როცა დაკონკილ მაზარაში გახვეულ გლეხს ყველა უძახის.

— გამოიტა! გამოიტა!

მის ნახევრათ ტიტველ წვრილ ცოლშვილს ქვეშსაგებად ერთად ერთი ჭილობიდა ეგოთ და ისიც ოთხ-აბაზ უზალთუნში სოფლის მოხელემ წაიღო მის მოვალეების დასაკმაყოფილებლად.

— ოხ, ღმერთო, ამისთანა სიცოცხლეს სიკვდილი მაინც მაღირსეო! ამოიოხრებს გლეხი.

გლეხი ნატრულობს, რომ ისევ ძველი დრო დაუბრუნდეს; გლეხი ემუდარება ყველას: „თქვენი მონა, თქვენი მორჩილი ვიქნები, ოღონც ეს ტანჯვა გვაკმარეთო“.

ვინ არის გამგონი? უფრო უორკეცებენ სატანჯველს. ერთიერთმანეთზე, თითქოს გამოჯავრებით, გადასახადები ატყდება თავზე. აგერ მოიშორებს ერთს და მეორე გადასახადი უკაკუნებს კარებს: ჩქარა ფული! გაჰყიდის თავის სარჩოს, დააკმაყოფილებს მეორესა და სოფლის მოხელენი გაჩნდებიან, უძახიან: ჩქარა მამასახლისის ფული! მოიშორებს ამასაც, როგორც იქნება და მღვდელ-დიაკვნით მიადგება ცარიელი ტომარა და ჩანახით, უძახიან: ჩქარა დრამაო! სათესლე ჰქონდა პატარა გოდრით გადადებული და რა ჯანი აქვს, სტრაჟნიკები თავს ადგანან, გოდორს გახსნის, მღვდელ-დიაკონს დააკმაყოფილებს, თანაც გლეხი მიაყოლებს: —მამაო შენდობა გვითხარითო და გლეხი მწარედ ჩაიცინებს.

მამასახლისი სტრაჟნიკებით ემუქრება გლეხს,—„ჩქარა, აცენკა მოვიდა, და ფული გამოიტანეო!“ გლეხს აღარა აქვს რა, რა უნდა მისცეს, მიწასთან გასწორებულია და, რაც მოხვდება მამასახლისს, ჭილობი თუ დაგლეჯილი ფარდაგი, ან სპილენძის დამტვრეული მურიანი ქვაბი, გამოაქვს გასაყიდათ, თანაც ბეჭებში, თავპირში მათრახი ხვდება.

ჩვენ გაჩენაში ღმერთი არ ურევია, სადაა სამართალი?! ეკითხება გლეხი თავის თავს.

ამ ტანჯვაში იმყოფება გლეხი, გაუტეხავია და მაინც თვალყურს ადევნებს ეხლანდელ დროს და ჰკითხულობს: „გაზეთში რა ამბავია? ჩვენი გაგზავნილი კაცები რას აკეთებენ? რა სთქვეს? უსრულებენ მათ მოთხოვნას თუ არა?

**VI. მთავრობის მამასახლისები და მათი შენახვა.**

სოფლის მოხელეთა თვითნებობას ბოლო არ უჩანს. უკანასკნელი გზირი, ნა...ვალი, სოფლის თვითნება, ადვირ აშვებული მძარცველს წარმოადგენს. მათზე საჩივრის აღძვრა ყოვლად შეუძლებელია და სოფელი ვერც არასა ხდება.

მთავრობის მამასახლისებში თავი ისახელეს გიორგი გოგიაშვილმა და უფროკი გიჩო ბაბაშვილმა, ამ უკანასკნელზე ბევრი რამ დაწერილა გაზეთის ფურცლებზე და მეც აღარას ვიტყვი, მხოლოდ მათი სისასტიკის აღსანიშნათ მოვიყვან მხოლოდ ერთ მაგალითს სოფლის მოხელეების ცხოვრებიდან:

გაზეთ „დროების“ სურათებიან დამატებაში, № 42 (სპარსეთის ცხოვრებიდან იყო დახურათ-ხატებული: „ყირამალა ფეხებ აკრული ხარიხაზე ეჭირათ კაცი და ფეხის გულებზე მათრახით სცემდენ.“

სწორეთ იგივე სურათი განმეორდა ს. არადეთში 1909 წ. 13 ოქტომბერს. ყაჩაღები დასცემოდენ აზნაურს იმხნელს და გაეცარცვათ.

გომის ბოქაულმა შაგალდოვმა სტრაჟნიკებით სოფ. არადეთელებს მოჰკითხა ყაჩაღების ვინაობა. რასაკვირველია, რაც არ იცოდნენ, ვის უჩვენებდნენ.

შაგალდოვს თან ახლდნენ ბარცის მამასახლისი ე—ძე, ატოცის მამასახლისი ც—ძე და ოქონის მამასახლისი ფ—ი თავიანთი ჩაფრებით.

შაგალდოვს დამნაშავე უნდა ეპოვნა, ვინც უნდა ყოფილიყო და ზაქარია ტიტვინიძეს მოჰკიდეს ხელი. ბოქაულმა თვალი ანიშნა თავის სტრაჟნიკებს, წააქციეს, თოფის თასმაში ფეხები გაუყარეს, თოფი შემოატრიალეს, ასწიეს მაღლა და მიაკრეს ძარის ბოძზე, თავი დედამიწაზე ჰქონდა ტიტვინიძეს. თვითონ შაგალდოვმა ამ თავდაყირა მიკრულ ტიტვინიძეს დაუწყო ხარის ტყავით ცემა ფეხის გულებზე.

გლეხის ღრიალი ცას სწვდებოდა, კნეინა მ—ე ა—სამ გაიგო ეს ამბავი და მაშინვე ბოქაულთან მიიჭრა, რომ ეს მხეცობა შეეჩერებინა.

შაგალდოვი კი იკვეხიდა: თავს რათ იწუხებთ, კნეინა, ასე უნდათ ამ მხეცებს... „эта моя метода!“

არც გასაკვირველია, შაგალდოვი აისორია და სპარსეთის ჩვეულება აქ გადმოიტანა.

გლეხებმა ამაზე მაზრის უფროსთან იჩივლეს, მაგრამ უყურადღებოთ იყო დატოვებული მათი საჩივარი.

ხაშურის ყოფილი ბოქაულის დიშინსკისაგან გლეხების წამება—დასახიჩრება ხომ ყველას მოეხსენება, სამართალშიაც არის მიცემული.

1911 წ. აპრილის 23-ს დღესა ხაშურში ქურდობისა გამო, ბოქაულს უსათუოთ ქურდები უნდა ეპოვნა თანახმათ სასტიკი ბრძანებისა გორის მაზრის უფროსის თდ. ვახვახიშვილისა, შემთხვევით დაიჭირეს ლაბაძე, კობალაძე და კიკნაძე ბოქაულმა დიშინსკიმ, ეს გლეხები რომ ვერ გამოსტეხა, სტრაჟნიკებს შამფური გაახურებინა და ლაბაძეს ტიტველა ტანი, ასო და კაკლები დაუდაღა. ლაბაძემ ამ წამებას ველარ შეუძლო და, მგონი დაავათმყოფდა დასახიჩრდა კიდეც.

(დასასრული იქნება.)

5) ჯიხუაშვილი პარმენ ალფეზის ძე, (ს. მუხურა, შორაპ. მაზრა) ფეხები აქვს დაძრული.

6) ყალიდაშვილი იოსებ (ს. მჭადის-ჯვარი, დუშ. მაზ.).

7) ბერიძე ვახტანგ დავითის ძე, (ს. ჯვარცმა, ოზურგ. მაზ.) ფეხები აქვს დაძრული.

8) შიოშვილი მიხეილ იავანეს ძე, (ს. ტაბახმელა, თფ. მაზრა) დაძრულია.

9) სტურუა დავით თევდორეს ძე, (სამტრედია, ქუთ. მაზ.).

10) ბოკუჩავა ევგენი, (აბაშა, სენაკ. მაზრა).

11) ხაჩიძე ზაქარია მიხეილის ძე, (ს. ტაშკარი, გორის მაზრა).

12) ავალიანი სოლომონ ნესტორის ძე, (ს. ზუფი, ზუგდ. მაზრა).

13) ურთმელიძე არსენ თევდორეს ძე, (ს. ტოკი, ახალქალაქის მაზრა).

14) გურული მელიტონ პეტრეს ძე, (სოფ. წირქვალი, შორაპ. მაზ.).

15) ცოცოლაშვილი მალხაზ აბრამის ძე (თფილისი).

16) ცოლავა ვასილი იოსების ძე, (სოხუმი).

17) ხოფერია იასე ელისბარის ძე, (ლანჩხ., ოზ. მაზრა).

18) ლუდუშაური ივანე იაკობის ძე (ს. სიონი, დუშეთის მაზრა).

მისამართი: Гори, Лазаретъ.

კერძო ცნობებისათვის გორი, სანგანიძეს.

## წყალტუბოს აბანოების მუნიციპალიზაცია.

(დასასრული იხ. „იმერეთი" № 3-ში.

ყრილობის პროგრამის დანარჩენი მუხლების გაცნობას ქართველი მკითხველისათვის საჭიროთ აღარ ვთვლი, მით უფრო, რომ მას ზევით შევპ-რდი ყრილობის „შრომის" დასტამბვის შემდეგ გაცნობას. ახლა კი ისევ ამ საქმის ქალაქის თვითმართველობაში წამოყენებას, იქ მის განსჯა-დახასიათებას და წყალტუბოს აბანოების მეპატრონეების მიერ ამ საქვეყნო საქმისადმი დაუფიქრებლათ გადადგმულ ნაბიჯზე ვიტყვი ორიოდე გამაფრთხილებელ სიტყვას. ამ უკანასკნელის თქმა კი საჭიროთ მივიჩნიე, რადგან ჩემ წინა წერილებში დახასიათებულმა კერძო თათბირმა, როგორც გამოირკვა, წყალტუბოელ მესაკუთრეებს ზედმეტათ გადაჭარბებული, საოცნებო, ერთბაშათ გამდიდრების მადა გაუღვიძა, დაუსაბუთებელი და შეუფერებელი ფასი წარმოათქმევინა თავის საქონელზე კერძო თათბირის დროს.

და რადგან შესაძლებელია, რომ იმათი კერძო თათბირზე გადაჭარბებული მადიანობა კიდევ უფრო გაღვივდეს იანვრის ყრილობის შემდეგ, როცა ხ ენებულ აბანოების დახასიათება საქვეყნოთ სამეცნიერო ნიადაგზე მოხდება,—მაშინ შესაძლებელია ამ აბანოების შეძენა წარმოების საქმემ სხვანაირი, არა სასურველი ხასიათი მიიღოს, საქმე რჩეეით და შინაურებთან მორიგებით კი არ გათავდეს, არამედ იძულებით.

ამიტომ საჭიროა წყალტუბოს აბანოების შეფასება მოხდეს არა ნაურაზე, მეპატრონეების მადა აღძრულობის კვალობის მიხედვით, რაც ყოველნაირ ამგვარ საქმეებს ჩვენში აფერხებს, სათავეშივე კლავს და ბორკავს, არამედ მისი რეალურათ სარგებლიანობის კვალობაზე, სხვა ამგვარი სამკურნალო წყლების ფასობაზე და მათ გასაუმჯობესებლათ გაღებულ ხარჯების მიხედვით. ყოველივე ეს კი შესაძლებელი იქნება როცა ამ საქმის გეგმა შედგება, ფინანსიური მხარე გამოირკვევა და ამისდამიხედვით იგი შედარებით შეფასდება ამ საქმეზე არჩეული კომისიის საშვალებით.

ხოლო კერძო თათბირზე გამოთქმული სურვილი წყალტუბოს აბანოების მეპატრონეებისა რვა მილიონათ მისი დაფასებისა, — ეს იყო უნიადაგო და უშედეგო მოთხოვნა საქმის უცოდინრობით გამოწვეული, რაც უეჭველია, არ უნდა განმეორდეს თუ მეპატრონეებს არ სურთ, რომ მასაც ჩვენებურათ საქმის გაჭიანურების ხასიათი არ მიეცეს და ჩვენებურივე უნიადაგო საქმიანობის ბოლო არ მიეცეს და ნატვრა სურვილების მორევში არ ამოხდეს სული...

პეტროგრადის ნაყრილობების შემდეგ ამაზე ადგილობრივათ, აქ თათბირმა მეტი სიდინჯე, გამჭრიახობა და შორს მჭვრეტელობა გამოიჩინონ როგორც მეპატრონეებმა, ისე ამ საქმის მეთაურებმა, რომ თუ ყრილობაზე ამ წყლების სამკურნალო-სამეცნიერო სარგებლი ნობის თვისებები აღიარებულ-მიღებული იქნება, შემდეგ ადგილობრივ უნიადაგო პირობებით მისი შეძენა—მოწყობის საქმე არ უნდა შეზღუდონ და მათი გაუმჯობესებულათ სარგებლობის საქმე კიდე რამდენიმე ათი წლით არ შეაფერხონ...

ხოლო ამ საქმეში ქუთაისის ქალაქის თვითმართველობის ჩარევა, მისთვის ფართო სამრეწველო ხასიათის მიცემა-და ამრიგათ მუნიციპალურ საქმედ გადაქცევა, —ეს უნდა შეიქნეს დღეს განახლებულ საბჭოს უმთავრეს საზრუნავ საქმედ.

როგორც გამოირკვა, ამ საქმეზე თვითმართველობაში დეკემბრის უკანასკნელ სხდომაზე თათბირიდან, მას სწორედ დროზე ჰქონია ალღო მთავრობის ასეთ მიმართულებისათვის სამკურნალო წყლების საქმეში.

მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ ქალაქ ს ძველი მოურავი ბ. ილია ჩიქოვანი ხელახლა ხმის დიდი უმეტესობით (44-ით წინაამდეგ 14-ისა) აირჩიეს მოუხედავათ აჩქარებულათ მის წინაამდეგ ამხედრებულ ოპოზიციონერთა ერთი ჯგუფისა, რომელმაც ძველი მოურავის მიერ ნაკეთებ-უკეთები ქალაქის საქმეების კრიტიკა მარტო გამგეობის ერთი წევრის (ბ. ს. ქვარიანის) ნაჩქარებათ და სახელდახელოთ საბჭოში შეტანილ საჩივარზე დაამყარა. ამ გამოსვლამ კი ჯერ მოულოდნელათ დაწყებული და მერმე ნაჩქარევათ განაგრძობი ბრძოლა მეტათ გაამწვავა ტ ქუთათური ჩვეული ჟინიანობის, შენ ჩემობის კენჭობის ხასიათი მისცა და ყუთებზე ამ საქმის მიტანით ძლიერ დაიმარცხეს თავი. ამისთანა კენჭობის მაგალითი კი არა ერთი და ორი წილხდომილი აქვს ქუთაისის ინტელიგენციას ჩვენ დაწესებულებებში არჩევნების დროს. გაუმიზეზებელი არჩევნები კი ერთი ზედმეტი ჭკუის მასწავლებელი გაკვეთილი იქნება ქუთათურთათვის, თუ კი ეს გაკვეთილი უნიჭო მოწავლესავით გაზეპირებული არ იქნება, არამედ შეგნებულ-შესისხლხორცებული..

ახლად არჩეულ ხმოსნებისადმი თავის სადღესასწაულო სიტყვაში ქალაქის მოურავი ჯერ დარბაზში ხმოსნებს და მერე საქვეყნოთ პრესაში ყველა მოქალაქეებს ხაზგასმით შეჰპირდა, რომ იგი ქალაქის თვითმართველობაში ახალნაირ პირობებში ჩაყენებული გაორკეცებული ენერგიით და სიხალისით იმოღვაწეებს ქუთაისის აღორძინების, მისი კეთილდღეობისათვის, ოღონდ საბჭო დაეხმაროს მას შექმნას თვითმართველობაში, მის გარშემო ამ დარგში თვითმოქმედების გამომჩენი საერთო მუშაობის ხელისშემწყობი პირობები.

იგი მეტათ გაბედულათ და ხმამაღლა დაპირდა მოქალაქეებს ადრე, მაზედ წინდაწყებულ და დღემდი (15—30 წლის განმავლობაში) ბიუროკრატიულის წესით ქაღალდზე ნაწარმოებ წყლის სადენის და სხვა სამუნიციპალო დიდრონ საქმეების მოგვარებას. ამაებზე კი იგი, როგორც ვიცით, ამ ომიანობის დროსაც ხომ საქმიანობს შინაობაში, ხოლო მის გათავების შემდეგ სრული იმედი აქვს, რომ ამ ოთხ დაწყებულ საქმეს გააკეთებს და ქუთაისს კეთილგანწყობილ ქალაქს დაამსგავსებს, კულტურულ თვითმართველობის სახელს მოუპოვებს.

ჩვენ ხელახლად ასეთის ტრიუმფით არჩეულ ქალაქის თავის რიხიან შეპირებაში აღარ შევიტანთ ზოგიერთებსავით ნაადრევათ ეჭვს, რადგან დიდრონ საქმეების თვის რეალური პირობები ქუთაისის ქალაქს თვითმართველობისთვისაც საკმაოთ შემზადილია საერთო სახელმწიფოებრივ თუ სოციალურ პირობების მიხედვით. ასეთი ეჭვი მით უფრო გვიქრება და ქუთაისისთვისაც უკეთესი მომავალის იმედი მით უფრო გვიღვივდება, რომ წარსულში სხვა მოღვაწეების დიდი უმოქმედობის მაგალითები გვიძევს წინ და მათი მცირედი ნამოღვაწევით იმდენათ ნაწნევია თითეული მოქალაქე ბედკრული ქუთაისისა, რომ მომავალში მაინც თვალებს გამოიფშვნეტენ, ყურებს გამოიფხეკენ, დაინახავენ ტ შეიგნებენ, რომ ძველებურათ, მამაპაპურათ ქალაქის საქმეების წარმოება შეუძლებელია და ფხიზლის თვალით მოსთხოვენ თავის არჩეულ ხმოსნებს და მის მეთაურებს თავიანთ საპასუხისმგებლო მოვალეობის პირნათლათ შესრულებას. და აი ზემორე ლნიშნულ შეპირება—მოვალეობის შესრულების ... ლებაზე იქნება დამყარებული განახლებული თვითმართველობის და საბჭოს ნაყოფიერი მუშაობისა და ჩვენც ამისაკენ მოუწოდებთ ერთსაც და მეორესაც.

ამასთან ვიტყვით იმასაც, რომ დღევანდელ ულმობელ საერთო ცხოვრების პირობებში ქალაქის თავს დიდრონ საქმეების ერთი სულის მიბერვით გაკეთებას ვერ მოვსთხოვთ.

მხოლოდ იმას კი მასავით ხმამაღლა და საქვეყნოთ მოვითხოვთ: I. რომ დღევანდელ პირობებში შესაძლებელია წყალტუბოს აბანოების მუნიციპალური წარმოება დამტკიცდეს და ამიტომ მისი პრაქტიკულათ მოგვარებისათვის ქალაქის თვითმართველობა, თავის უმაღლეს ორგანო-საბჭოთი—ფეხზე უნდა წამოდგეს და მთელი თავისი შედგენილობით ყველა ამ დიდი საქმისათვის ამოძრავდეს, მოხდენილი დრო და შემთხვევა არ გაუშვას და ვიდრე იმ კაიხნის ნანატრ ოთხი დიდი საქმის მოგვარებას შეუდგებოდენ, მანამდი ქვეყანას, სამშობლო მხარეს ეს დიდი და სასარგებლო საქმე შეძინონ, მას ამ თავითვე მკვიდრი საფუძველი ჩაუყარონ. ყველასათვის ცხადია, რომ თუ ეს საქმე განზრახულათ მოგვარდა ქალაქის ცალიერ სალაროს ერთი ფრიად სარფიანი შემოსავლის წყარო აღმოუჩნდება და მათ უსახსრობაზე წუწუნს საგრძნობლათ შეასუსტებს...

ხოლო მეორეთ ამასობაში, დიდრონ საქმეებზე ზრუნვის დროს საჭიროა არც მეორეხარისხოვანი წვრილმანი საქმეები დაივიწყონ ჩვენმა ქალაქის მამებმა. ამგვარ საქმეებში მოქალაქეებს საჭიროებოთ სხვათა შორის აქვთ სახჩობელათ გადაქცეული ტალახიან-მტვერიანი ქუჩები და მაზე მოფენილი კასერ და ხელ-ფეხ სამტვრევი ქვაფენილები თავის ხრამებით. ეს თვალსაჩინო ნაკლს შეადგენს ბუნებისაგან „სავარდო და სამაისოთ" განწყობილ ქუთაისისას. საჭიროა, მიუხედავათ იმისა, რომ ამ წლის სმეტით ქუჩების საკეთებელი ფული სულ არაა გადადებული,—გამონახოს საიდანმე წყარო ამ ბოლო ხანებში ასე ენერგიულათ დაწყებულ და ნაწარმოებ ქუჩების და ქვაფენილების საკეთებლათ. ამასობაში ... ბოლო მოეღება, საერთო მღელვარებაც დაცხრება და დაგვიდგება უკეთესი დრო ჟამი დაწყნარებულათ კულტურულ საქმიანობისათვის.

ქუთაისის ქალაქის საბჭოში დეკემბრის უკანასკნელ რიცხვებში მომხდარ თათბირიდან წყალტუბოს აბანოების მუნიციპალიზაციის საკითხს ხმოსნები ერთხმათ თანაგრძნობით შეხვდენ. ქალაქის თავმა, რომელსაც ამ საქმის მუნიციპალიზაცია ღრმათ წამს და ახალი საბჭოს მომავალი მოქმედების პროგრამის ერთ უმთავრეს მუხლათ მიაჩნია, ხმოსნებს საზოგადო თეორეტიულ მოსაზრებით დასაბუთებული მოხსენება წარმოუდგინა ამ საქმის მნიშვნელობის შესახებ, რომელიც მეცნიერულის მხრით ხმოსანმა დიმიტრი ნაზაროვმა დაასაბუთა და თავის სიტყვა იმით დაასრულა, რომ წყალტუბოს აბანოები ისეთი სამკურნალო თვისებისაა, რომ იმით მრავალგვარი ავათმყოფობანი იკურნება და წყალიც იმდენია, რომ „въ ней хоть всю Россію можно выкупать" ო, ოღონდ იგი გავაკეთოთ, მას კულტურული კურორტების სახე მივცეთო.

ქალაქის თავის საქმიან მოხსენების შემდეგ ხმოსნებმაც ამ საქმის გამო საქმიანათ კაი ხანს იმსჯელეს და დაადგინეს გაგზავნონ თავის წარმომადგენელი პეტროგრადში ბალნეოლოგიურ ყრილობაზე ამ აბანოების შესახებ სამეცნიერო მოხსენების წასაკითხათ და ამ საქმის განსახორციელებლათ საჭირო ზომების მისაღებათ. ქალაქის თვითმართველობამ თავის წარმომადგენლის გასაგზავნათ ხარჯების გაღებაც არ დაიზარა და ექიმი ნაზაროვი უკვე გაემგზავრა რუსეთში.

ვნახოთ როგორის ძღვნით დაგვიბრუნდება ქუთათური მომხსენებელი ცივი ქვეყნებიდან.

**ისიდორე კვიცარიძე.**

## ღია ბარათი. *)

### ქუთაისის დრამატიულ საზოგადოების გამგეობას.

ბატონებო! მე დიდათ მიკვირს და ვერ გამიგია რადა სცნობს შეუძლებლად გამგეობა ჩემს მუშაობას დასში.

თქვენი პასუხი, მეტი რომ არა ვსთქვათ, დიდათ გასაოცარია, იმიტომ რომ დრამატიული საზოგადოების პირდაპირი მოვალეობაა ხელი შეუწყოს ქართულ სასცენო ხელოვნებას, გზა მისცეს ახალ მოვლენ ს და საშუალება—მსურველს მოიჩინოს თავისი ცოდნა და უნარი.

ნაცვლად ამისა, რას ვხედავთ დღეს; როდესაც თქვენთან მოდის ... სასცენო და ამასთანავე საზოგადო ... ლესი განათლებით აღჭურვილი ადამიანი, თქვენ ბრძანებთ: „ამ ჟამად ჩვენ არ შეგვიძლია თქვენი წინადადებით ვისარგებლოთო"—ეს არის თქვენი ოფიციალური პასუხი, მაგრამ ამ თავისთავადაც შეუწყნარებელი პასუხის უკან იმალება სულ სხვა გარემოება, რის საჯაროდ თქმას გამგეობა ვერ ბედავს.

მე ვიცი დაწვრილებით ყველა ეგ მიზეზი, მაგრამ ჯერ-ჯერობით მათ არ გამოვაქვეყნებ, სანამ თვით თქვენგან არ მოვისმენ საჯარო დასაბუთებულ პასუხს ჩემი განცხადებისას.

შეუძლია თუ არა ვისმე, ცალკე პიროვნება იქნება ეგ, თუ მთელი ჯგუფი, თავის მონოპოლიად გაიხადოს ქართულ სცენაზე მუშაობა? არასოდეს! და სწორედ ამიტომ თქვენი მოვალეობაა ხელი შეუწყოთ და არა შეუკრათ გზა ამ სცენაზე მუშაობის მსურველს.

დასასრულ, თუ თქვენ ისევ ძველ არგუმენტებს,—გამგეობის ზოგიერთ წევრთა მიერ ნალაპარაკევს—გაიმეორებთ, მე წინდაწინ მოგახსენებთ, რომ მათ შორის არ არის არც ერთი ოდნავ მაინც შესაწყნარებელი საბუთი, რის დამტკიცებასაც, თუ საჭიროებამ მოითხოვა—ვალად ვიღებ.

**აკაკი ფალავა.**

ქუთაისი, 8 იანვარი.

*) ვბეჭდავთ ამ წერილს, რადგანაც, ჩვენის აზრით დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს. ჩვენს აზრს ქართველ საზოგადო მოღვაწეთა ურთიერთობის შესახებ ცალკე წერილში გამოვსთქვამთ. რედ.


## სავაჭრო დ. ქებაძისა

ვორონცოვის ქუჩა.

# იყიდება

ნარდათ ყოველგვარი საბაკალეინო საქონელი უტყუარ ფასებში. 1—19

უდიდესი სპეციალური წიგნის მაღაზია

## კ. ი. ოცხელისა და ამხ. ქუთაისში

ალექსანდრეს ქუჩა, თფილ. კომერც. ბანკის ქვეშ.

**კ. ი. ოცხელისა და ამხ. წიგნის მაღაზიაში** მოიპოვება ყოველგვარი **სახელმძღვანელო** და საკითხავი წიგნი: ბელეტრისტული, პედაგოგიური, იურიდიული, საბავშო და მრავალი სხვა. აგრეთვე **კალენდრები 1915 წლის:** ჯიბის, კედლის, იურიდიული, საექიმო და სხვა. ატლასები, თვალსაჩინო სურათები. გეოგრაფიული ქარტები, მათ შორის **ომის ქარტები** დაწყებული 6 მანეთიდან ვიდრე 3 შაურამდი.

გვერდით გამართულია **ცნობილი საკანცელარიო მაღაზია დ. ი. ოცხელისა**, სადაც მოიპოვება ყველანაირი სამოსწავლო და საკანცელარიო ნივთები.

კატალოგები უფასოთ. თ.

**თ. ა. მთავრიშვილისა და ამხ. წიგნის მაღაზიის საკუთარი გამოცემანი.**

1) ნ. ნიკოლაძე. მამულის სიყვარული და მსახურება . . . . . 20 კაპ.
2) დ. კარიჭაშვილი. ხუცური ანბანი, მეორე გამოც. . . . . 20 „
3) მღ. პ. ცქიტიშვილი ლოცვანი, პირველდაწყებითი შკოლებისათვის ფ. 10 კ., ყდით . . . . . 15 „
4) ქართული მოძრავი ანბანი ქაღალდზე . 10 „
„ იგივე, კარდონზე გაკრული . . 25 „
„ იგივე, ორ და სამ-კომპლექტიანი . 50 „
5) ს. ყიფიანი. შაქარას ნაამბობი . . 3 „
6) Архим. Несторъ. Учебникъ Закона Божія . . . . . 20 „
7) ს. გორგაძე. საქართველოს ისტორია ნ. I ისტორიული ქარტით., მეორე გამოცემა . . . . . . 35 „

**აქვე იმყოფება საწყობი შემდეგი წიგნებისა.**

1) გუთანი, ოჯახსა და შკოლებში საკითხავი წიგნი, შედგ. ი. ოცხელისა. თ. მთავრიშვილისა და ს. ყიფიანის მიერ, სურათ., მესამე გამოც., ყდით . 85 „
2) ს. ხუნდაძე. ქარ. გრამატიკა პირველდაწყებით შკოლებისათვის, ყდით . 20 „
3) ს. რობაქიძე. სამშობლოს აღწერა, საქართ. გეოგრაფიის სახელმძღვანელო, ყდით . . . . . . 50 „
4) არქიმ. ნესტორი (ყუბანეიშვილი,) პირველდაწყებითი დარიგება სღვთო სჯულის სწავლებაზე . . . 30 „
5) ა. ხახანაშვილი. ბატონ-ყმობა საქართველოში . . . . . . 50 „
6) კ. აბაშიძე. ეტიუდები მე XIX ს. ქართ. ლიტერატურის შესახებ. ტ. I. . 70 „
7) მისივე. იგივე. ტ. II. . . . 70 „
8) ი. შექსპირი. ოტელო, ჰამლეტი და მეფე ციმბელინი, ყრმათათვის ნათარგმნი ს. ყიფიანისა . . . . 20 „
9) მღ. ა. გერსამია. ლოცვანი, ფ. 10 კ., ყდით . . . . . . 15 „
10) ა. ჰიჰინაძე. პირველდაწყებითი ცოდნა გეოგრაფიისა ფ. 50 კ., ყდით . 60 „
11) ნ. ნიკოლაძე. ჩემ პოლიტიკაზე . 10 „

რუსული და ქართული კატალოგები მსურველთ უფასოთ ეგზავნებათ. თ.